


ს ა მ ც ა ა ც ხ შ ი

„როგორც უფალი, სამშობლოც,
ერთია ქვეყანაზედა!“
რაფიელ ერისთავი

გაზეთ „ნოჯიხურის“ სპეციალური დანართი №1, მკათათვე 2013

ს ი ც ო ც ხ ლ ე შ ი ვ ე უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა დ დ ა ლ ე ბ ე ნ დ ა დ ქ ც ე უ ლ ნ ი

(ექვნი მამანტი ძაძამიას დაბადების 73-ე წელს)



იგი მეგრულ-ქართული და აფხაზური სიმ-
ლერებითა და საცეკვაოებითაც აღინიშნა.

ლონისძიებაზე სიტყვებით გამოვიდნენ
და საკუთარი, მათ შორის მამანტი ძაძამი-
ასადმი მიძღვნილი, ლექსები ნაიკითხეს:
ნუგზარ შამუგია, კოტე ნაჭყებია, გოგი
შონიამ, გიორგი დარასელიამ, რინოს კვა-
რაცხელიამ, თამაზ ფიფია, ზაალ ჯალა-
ლონიამ.

მეგრულის ფენომენურობას და თავი-
ანთი კვლევის შედეგებს შეეხნენ მამანტი
ძაძამი და კუკურ ფიფია.

ლონისძიების მონაწილეებმა ვრცლად
ილაპარაკეს მეგრული ენის შესახებაც და
ბატონ მამანტი ძაძამიასა და მისი თანა-
ავტორების ღვაწლზეც მეგრული ენის და
საერთოდ ენის ფენომენის შესწავლის საქ-
მეში. სიაშოვნებით აღნიშნეს, რომ ამიერი-
დან მეგრული ენის დღე და მამანტი ძაძა-
მიას დაბადების დღე ერთად აღინიშნება.

პოეტმა რინოს კვარაცხელიამ თავის
ვრცელ გამოვლვაში დეტალურად ილაპა-
რაკა მამანტი და ცირა ძაძამიების ცალ-
კეულ ნაშრომებზე, მათ შორის, შვიდტო-
მეული „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყ-
ვათწარმოებაზე“ მან შეაფასა როგორც
შეიქმნა საოცრება; შეეხო იმას, თუ რო-
გორ ემბიანებოდა ხოლმე ამ უნიჭიერესი
ადამიანების ყოველი ახალი ნაშრომის გა-
მოსვლას; ნაიკითხა საკუთარი ლექსები,
მიძღვნილი მამანტი ძაძამიასა და ცირა
ძაძამიასადმი.

ამჯერად, ჩვენს გაზეთს აქვს პატივი,
მიულოცოს დაბადების დღე ბატონ მა-
მანტი ძაძამიას, და მასთან ერთად, მისი
ოჯახის ყველა წევრს, — როგორც ბატონ
მამანტის ღირსეულ თანაავტორებს, რო-
მელთა ერთობლივი შრომაც სწორუპოვარ-
ი ენათმეცნიერული ნაშრომების შექმნა-
ში გამოიხატა. ესენი ის ადამიანები არიან,
ვინც სიცოცხლეშივე იქცნენ უკვდავებად
და ლეგენდად.

ამის დასტურია შემდეგი რეალობანი:
მამანტი ძაძამია ბავშვობიდანვე გა-
მოირჩეოდა ნიჭიერებით. მას, ჯერ კიდევ
V კლასელ მოსწავლეს, გაცნობის დღეს-
ვე, დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა
კლასის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა
შოთა ზარქუამ. მალე, მანვე „ოქროს კაცი“
შეარქვა მას ზედმეტსახელად.

მამანტი ძაძამიამ წარჩინებით დაამ-
თავრა წალენჯიხის საშუალო სკოლა, სა-
ქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის
ისტორიულ-სუბტროპიკული ფაკულტეტი
და საქართველოს ეკონომიკის და გეგმ-
ვისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი
ინსტიტუტის ასპირანტურა.

წლების განმავლობაში მუშაობდა
სხვადასხვა თანამდებობრივ სამუშაოზე.
ყველგან გამოირჩეოდა პატიოსნებით, კე-
თილსინდისიერებით, ნიჭიერებითა და ორ-
განიზატორული უნარით. ეროვნული მოძ-
რაობის დროს ერთ-ერთი პირველთაგანი
დადგა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის
მებრძოლთა რიგებში და აქტიურადაც იღ-
ვანა.

მამანტი ძაძამია სხვადასხვა დროს
დაინტერესებული იყო მეცნიერების სხვა-
დასხვა დარგით. გააჩნდა მაღალი რანგის
სპეციალისტების მიერ რეცენზირებული
და მონონებულის ნაშრომები აგროქიმიაში,
ისტორია-ეთნოგრაფიაში, სოფლის მეურ-
ნეობის ეკონომიკასა და ენათმეცნიერე-
ბაში, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე მეტად
ამ უკანასკნელმა გაიტაცა და გასაოცარ
შედეგებსაც მიაღწია, მისივე თანავტორ

ქალიშვილ ცირა ძაძამიასთან ერთად..

მამანტი ძაძამიას პირველი ენათმეც-
ნიერული ნაშრომი, „მეგრული დიალექტი“
(I-II, 1991) სპეციალისტებმა ასე შეაფასეს:
„ახალი კოლორიტული სიტყვა ენათმეც-
ნიერებაში“ (ირ. ასათიანი, ენათმეცნ. ინს-
ტიტუტის დოცენტი); „დიდმნიშვნელოვანი
ნაშრომი“ (ნ. ლემონჯავა, პროფესორი),
„მნიშვნელოვანი გამოკვლევები“ (ჟ. სორ-
დია, დოცენტი).

საყოველთაოდ ცნობილია თუ რაოდენ
დიდ წარმატებას მიაღწია კაცობრიობამ
მეცნიერების დარგებში. მაგრამ მრავალ-
საუკუნოვანი ცდის მიუხედავად, ადამიან-
მა ვერ შეძლო ამოეხსნა ისეთი დიდმნიშ-
ვნელოვანი პრობლემა, როგორც არის ენის
წარმოშობის საკითხი. ბოლოს მსოფლიო
ენათმეცნიერებამ ამ საკითხის შესწავლა
საერთოდ შეუძლებლად მიიჩნია. ასეთი
შეხედულება აქ თითქმის ბოლო ორი საუ-
კუნის განმავლობაში იყო გაბატონებული.

ასეთ ვითარებაში, მამა და შვილმა თა-
ნავტორებმა მამანტი ძაძამიამ და ცირა
ძაძამიამ, ერთ-ერთი ქართველური ენის —
მეგრული ენის ყოველმხრივ ღრმადმეცნი-
ერულად შესწავლის შედეგად, პირველად
ენათმეცნიერების ისტორიაში, ამოხსნეს
ენის (მოცემული ენის, ზოგადად ანუ სა-
ერთოდ ენის და სხვადასხვა ენის) წარმო-
შობის ჭეშმარიტი საფუძვლები 1997 წელს
გამოცემული ნაშრომით „ენის წარმოშო-
ბის საიდუმლოება“.

ახალი, დამატებითი არგუმენტებით,
სრულად წარმოაჩინეს ენის წარმოშობისა
და განვითარების საფუძვლები, მათ, მო-
რიგი ნაშრომებით: „სიტყვათწარმოება-
ლობა — ენის წარმოშობის საფუძველი“
(ზუგდიდი, 2003), „მეგრული ენის ლექსი-
კა და სიტყვათწარმოება“ (შვიდ-
ტომეული, თბილისი, 2007).

3200-მდე ერთობლივი ნაშრომი, მათ
შორის 11 დიდი მონოგრაფია მიუძღვნეს
ამ გასაოცარი ნიჭის ადამიანებმა ენის
წარმოშობის საკითხსა და საერთოდ ენის
ფენომენის შესწავლას, რაც უპრეცედენ-
ტო მოვლენაა. მათ შორის, გამოცემას
ელოდება ნაშრომები: ერთტომეულები:
„ენის წარმოშობის საფუძველი“ (6 ენა-
ზე გამოსაცემად, კომპიუტერული ვერსია,
2008), „მეგრული ენა (ლექსიკოლოგია,
ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი,
სიტყვათწარმოება)“ (უმადლესი
სასწავლებლების სტუდენტებისა და
ლექტორ-მასწავლებლებისათვის, კომპ.
ვერსია, 2009), „სინტაქსი მონაცემები
ცალკეულ საენათმეცნიერო და ზოგად-
სამეცნიერო საკითხებზე ზოგადსაკა-
ცობრიო პრობლემათა ჩრილში (ფაქტე-
ბი, პირობები, დასკვნები) (სამცო-
მეული, კომპ. ვერსია, 2011), „მეგრული ენა
— ენის წარმოშობისა და განვითარების
ისტორიის ცოცხალი მატრიანე“ (ოცტო-
მეული, კომპ. ვერსია, 2012) და მეგრული
ენის ლექსიკონი (მრავალთასტომეული,
დაიბ მრავალთასტომეული, მაგრამ, ამ
უკანასკნელზე ბოლოს).

200-ზე მეტი რეცენზია-შეფასება აქვთ
მიღებული, ავტორებს, მათს უკვე გამოქ-
ვეყნებულ ნაშრომებზე.

ამასთან, მიღებული აქვთ გამოხმაუ-
რებანი უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან,
მათ შორის: ესპანეთიდან, საფრანგეთი-
დან, აშშ-დან, შვეიცარიიდან, ინგლისი-
დან (ლონდონის უნივერსიტეტის აღმო-
საველთმცოდნეობის ინსტიტუტიდან),
გერმანიიდან, ავსტრიიდან, ნორვეგიიდან,

თურქეთიდან, რფრ-დან (რფრ-ის აკადემი-
ის მოსკოვის ენათმეცნიერების ინსტიტუ-
ტიდან), კანადიდან (მონრეალის უნივერ-
სიტეტიდან), ლიტივიდან... 6 მათგანი შინ
სტუმრობდნენ ავტორებს და მონვევაც
აქვთ მიღებული.

უნიკალური ენათმეცნიერული ნაშრო-
მებისათვის მამანტი ძაძამია, რომელიც
ძირითადი სპეციალობით აგრონომი და
ეკონომისტია (სადისერტაციო ნაშრომი გა-
აჩნია ეკონომიკაში), ენათმეცნიერებაში კი
თვითნასწავლი უებრო მკვლევარია, არჩე-
ულია მ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ
წევრად, აკადემიკოსად, მათ შორის, ერთ-
ერთი მათგანის — საქართველოს მეცნი-
ერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტად,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის
შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრე-
ზიდენტად და 5 უნივერსიტეტის საპატიო
პროფესორად.

ცირა ძაძამია, რომელიც ფილოლოგი-
ის მეცნიერებათა დოქტორია, არჩეულია
5 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევ-
რად, აკადემიკოსად და 3 უნივერსიტეტის
პროფესორად. ამასთან, არის საქარ-
თველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-
ს ვიცე-პრეზიდენტი (აკად. კლ. შილიანის
ერთად), ამავე აკადემიის ინტერნეტ-
ურნალის „მაჭირხოლი“ მთავარი რედაქ-
ტორი.

ამას წინათ, საქართველოს მეცნიერე-
ბათა აკადემია „აია“-ს ნამდვილ წევრებად,
აკადემიკოსებად არჩეულიყნენ მამანტი
ძაძამიას ოჯახის სხვა წევრებიც: ელეო-
ნორა მეზონია-ძაძამია, ირინე ძაძამია, ია
ძაძამია, ბესარიონ ძაძამია და ირაკლი ხა-
ჭაპურიძე, რომლებიც მამანტი და ცირა
ძაძამიებთან ერთად თანავტორები არი-
ან ოცტომეულისა „მეგრული ენა — ენის
წარმოშობისა და განვითარების ისტორიის
ცოცხალი მატრიანე“ და ერთობლივადვე
მუშაობენ მეგრული ენის ლექსიკის მრავა-
ლთასტომეულის (კომპიუტერული ლექ-
სიკონის სახით) შექმნაზე.

ეს უკანასკნელი ნაშრომები, ცხადია,
მკითხველთა კუთვნილება ჯერაც არ არის,
ამიტომაც, მათი კონკრეტული შეფასება
სპეციალისტებისა და სხვათა მხრივ, მო-
მავლის საქმეა.

რაც შეეხება მამანტი და ცირა ძაძამი-
ების აქამდე გამოქვეყნებული ნაშრომების
შეფასებას, მასზე ნათელ წარმოდგენას
იძლევა მცირედი მოკლე ამონარიდებიც
კი რეცენზენტ-შემფასებელთა გამონათქ-
ვამებიდან თუ ცალკეული რეცენზიების
დასათაურებებიდან. აი, ისინიც:

„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრო-
მი“, „გადატრიალება ენათმეცნიერე-
ბაში.“ „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრო-
მი“, „უნიკალური ნაშრომი“, „უდიდესი
ქართული მოვლენა“, „უებრო ნაშრო-
მი“, „ნიგნი გიგანტი“, „გენიალური ნაშ-
რომი“, „სამაგიდო ნიგნი“, „ტიტანური
ნაშრომი“, „წმინდა ქართული საქმე“,
„ნაშრომი, რომელიც ნებისმიერ სამეც-
ნიერო დაწესებულებას დაამშვენებდა“,
„ფანტასტიკურიც და საკვირველიც“,
„ზეტიტანური ნაშრომი“, „ნიგნი, რო-
მელზედაც დისერტაციები დაინერება,
რომელზედაც თაობები აღიზრდებიან“...

ეს შეფასებები დარგის სპეციალის-
ტებს, მეცნიერებათა დოქტორებს, პროფე-
სორებსა და აკადემიკოსებს განეკუთვნე-
ბა. თუმცა უმჯობესია აქვე წარმოვადგი-

მ იმდინარე წლის 29 მაისს სასიკადაუ-
ლო მამულოშვილს, პროფესორსა და
აკადემიკოსს მამანტი ძაძამიას დაბა-
დების 73-ე წელი შეუსრულდა. ეს თარიღი
მას, პირველბა, სახალხო მოძრაობა „სა-
მეგრელომ“ (თავმჯდომარე ალ. ჭაჭია) და
მისმა გაზეთმა „ილორმა“ (რედაქტორი რ.
ჯალაღანია) მიულოცეს.

29 მაისს, როგორც მეგრული ენის
დღეს და მამანტი ძაძამიას დაბადების
დღეს, სპეციალური ღონისძიება მიუძღვნა
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგ-
დიდის ორგანიზაციამ (ხელმძღვანელი ზ.
კვარაცხელია). მასვე, გალის რაიონულმა
გაზეთმა „გალ“ (რედ. ნ. სალაყაია) მიუძღ-
ვნა სპეციალური ნომერი „სინთე“.

მეგრული ენის დღის დანესება კი ასე
მოხდა:

2012 წლის 12 დეკემბერს ზ. კვარაც-
ხელიას ინიციატივით სახალხო მოძრაობა
„სამეგრელოს ზუგდიდის ოფისში მოეწყო
მეგრული ენის პოეზიის საღამო. მას ესწ-
რებოდნენ სამეგრელოსა და აფხაზეთის
რაიონების პოეტები, მწერლები, ავტორ-
მთქმელები, სხვა წარმომადგენლები.

საღამოზე გალის რაიონის წარმომად-
გენელმა ნ. შამუგია ნაიკითხა გაზეთ „გა-
ლის“ რედაქტორის ნუგზარ სალაყაიას მი-
მართვა ღონისძიების მონაწილეებისადმი
და განაცხადა იმის შესახებ, რომ გადანყ-
ვეტილი აქვთ გალის რაიონში დაანესონ
მეგრული ენის დღე — 5 ივნისს, ვინაიდან
ამ დღიდან გამოდის მათი გაზეთი აფხა-
ზურ, მეგრულ და რუსულ ენებზე.

ამ განაცხადს ზურაბ კვარაცხელიამ
ასე უპასუხა: მეგრული ენის დღის შესა-
ხებ ჩვენც გვაქვს ნაფიქრი, მაგრამ ეს დღე
უნდა დანესდეს ჩვენში, საერთოდ, და არა
მხოლოდ გალის რაიონში. ამასთან, მიგვაჩ-
ნია, რომ უპრიანია მეგრული ენის დღედ
დაწესდეს 29 მაისი, მამანტი ძაძამიას და-
ბადების დღე, ვინაიდან სწორედ მამან-
ტი ძაძამიას მიუძღვის განსაკუთრებული
ღვაწლი მეგრული ენის და საერთოდ ენის
ფენომენის შესწავლის საქმეში.

ამ წინადადებას დარბაზში მყოფი 200-
მდე ადამიანი ოვაციით შეხვდა.

და, აი, 2013 წლის 29 მაისს იმავე დარ-
ბაზში პირველად ჩატარდა მეგრული ენის
დღის აღსანიშნავი საღმრთაო საღამო ლო-
ნისძიება. მასში ამჯერადაც სამეგრელოსა
და აფხაზეთის რაიონების წარმომადგენ-
ლები ესწრებოდნენ. ეს ღონისძიება მეგ-
რელებისა და აფხაზების ტრადიციული
მეგობრობის ნათელი გამოვლინება იყო;

2 ...ბატონო მამანტი! ქალბატონო ცირა! მგონია, თქვენ ღმერთი დაგეხმარათ ამ დიდ საქმეში, ამ გოლიათური ნაშრომის შექმნაში. სახელი და დიდება თქვენ, ბატონებო!

მამა ავთანდილ გიორგობიანი — ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი, აკადემიკოსი:

„მოგესალმებით და მოგილოცავთ. ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი გამოკვლევები, არა მარტო ეროვნული, საერო თვალსაზრისით, არამედ სასულიერო თვალსაზრისითაც. გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას“.

ვაჟა ვერისელი — პოეტი, აკადემიკოსი:

„დიდი მადლობა, ძვირფასო მეგობრებო! დღეს არის ზეიმი მწერლობის, მეცნიერების, კულტურის და კაცობის. მინდა მადლობა გითხრათ მობრძანებისათვის. ბატონ მამანტი ძაძამიას, მის ქალიშვილს ცირა ძაძამიას და ბატონ ვლადიმერ ვახანიას უდიდეს მადლობას მოვასხენებ ამ დიდი შრომისათვის, და დიდი გამარჯვებისათვის, რასაც ქვია ეს უნიკალური შვიდტომეული“.

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს მტრობისა და სიძულვილის გველშაპი მისდგომია; მათ იციან, იქ იწყება საქართველოს ისტორია“.

მოკლე ამონაწერები შვიდტომეულის ცალკეული რეცენზიებიდან:

ნაპოლეონ ლემონჯავა — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„ეს ჭეშმარიტად სოლიდური ნაშრომი წარმოადგენს უნიკალურ გამოკვლევას. იგი ყოველი მოაზროვნე და პატრიოტი მკითხველისათვის ძვირფასი საჩუქარია! ამასთან, ამ უებრო ნაშრომის საფუძველიანი განხილვა-გაანალიზება და სისტე-

მად ჩამოყალიბებული დასკვნების გამოტანა ფრიად საშური, მაგრამ საკმაოდ რთული და ძნელიც გახლავთ. მას სათანადო დროც სჭირდება“.

ოთარ მიქიაშვილი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„ნაშრომის ავტორთა განზრახვა უთუოდ მიღწეულია. შვიდტომეულს ნამდვილად შეაქვს გარკვეული სიღრმე მასში დასმული პრობლემის — ენის წარმოშობის საკითხების ასხნაში.“

ნაშრომი (ტ. VII, გვ. 518) შეიცავს მტკიცებებს, რომ თანამედროვე მეგრული ენის ლექსიკა მოიცავს 102 773 879 სიტყვას პარალელური და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, ხოლო უამათოდ, სულ მცირე 20 მილიონამდე (მასაძლია მეტსაც) სიტყვას. ეს კოლოსალური ციფრია. თუმცა, ეს ყველაფერი შემონიშნავს და დაეჭვებულ მკითხველს ამ ფაქტმა უნდა გაუჩინოს სურვილი დარწმუნდეს მის ჭეშმარიტებაში და არამც და არამც არ განეწყოს შრომისადმი ნიჰილისტურად. ამას მეცნიერების, ჩვენი ენისადმი ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის სიყვარული მოითხოვს.

არ არის გამორიცხული, რომ იმ თავისებურებათა, იმ ღირსებათა შეფასებისას, რომლებსაც ხედავენ და აღნიშნავენ ნაშრომის ავტორები, ვინმემ სცადოს იხელმძღვანელოს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, რასაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში და რომლის რეციდივები თავს იჩენენ დღესაც. განსახილველი ნაშრომის ობიექტი ენაა, ნაშრომი ენათმეცნიერული ხასიათისაა და მისი შეფასებისას მიდგომა მხოლოდ მეცნიერული, კერძოდ, ენათმეცნიერული უნდა იყოს. მეცნიერთა და მკითხველთა მიერ დანახული უნდა შეფასდეს ობიექტურად და არ იქნეს შეფასებული, როგორც მათთან დაპირისპირება, რამეთუ ყველა ენას, მითუმეტეს არასამწერლობო და, მაშასადამე, დიდი ისტორიის მქონეს, როგორც მეგრულია, განვითარების საკუთარი გზა აქვს გავლილი და ამ გზის

შესწავლა-ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ ენის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, პირობებზე, რომლებშიც, ჩამოყალიბდა აღნიშნული ენის დღევანდელი სახე მეზობელ ენებთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების შედეგად.“ (რეცენზიიდან „ნიგნი ენის წარმოშობის საფუძველების შესახებ“, მარტი, 2008წ.).

გიზო ჭელიძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„ეს შვიდტომეული უნიკალური ნაშრომია. იგი მეტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა (ქართულ და არამარტო) ენათმეცნიერებაში...“

20 მილიონი სიტყვა ერთი ტომის მეტყველებაში კი არა ერთი შრის ენაშიაც მართლაც ინვეს დაუჯერებლობას, მაგრამ ვინც ამ ოცტომეულს ნაიკითხავს, მას ეს დაუჯერებლობა მოეხსენება. უღრმესი მადლობა მის ავტორებს გასაოცარი მაღალნიჭიერებისა და სწორუპოვარი მეცნიერული ნაშრომისათვის“ (რეცენზიიდან: „გამორჩეული ნიშანსეფი ქართველური ენების შესწავლის გზაზე“, 26.02.08 წ.).

ჯემალ ჯინჯიხაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი:

„სრულიად აშკარაა, რომ კაცთა მოდგმის ყოველგვარი ცივილიზაციის საწყისი და ამ საწყისის საწყისიც ენა გახლავთ... ენა, რომლის წარმომავლობის დადგენა საუკუნეთა მანძილზე სანუკვარი ოცნება იყო კაცობრიობისათვის. ეს ყველას მიუწევდომელი ეგონა.“

„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ უდავოდ ტიტანური შრომაა, რომელმაც გახსნა ენის წარმოშობის საიდუმლოება და ქვეყნიერებას ამცნო, რომ ადამიანს განგებამ თვითონ წარმოაქმნევინა საკუთარი ენა, სრულიად ბუნებრივი გზით.

რამდენი ხანია ქართველურ ენათა ეს ერთ-ერთი მარგალიტი, ულამაზესი და უტკბესი ენა, ელოდება დროს, როცა დაიწყება მისი უკიდევანო სიდიადის შესწავ-

ლა. ეს დროც დადგა. ყინული დაძრულია“ (რეცენზიიდან „ტიტანური შრომა“, მარტი, 2008 წ.).

მოკლე ამონარიდები ცალკეული საგაზეთო სტატიებიდან:

„ეს შვიდტომეული იმდენად უნიკალური მოვლენაა, რომლის მსგავსის წარმოდგენასაც ვერ შევძლებდი“ (**ვალერი კვარაცხელია**, აკადემიკოსი, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 44, 2007).

„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე თავს ნებას მივცემ განვაცხადო: ძვირფასო მეგობრებო! თქვენით შეუძლია იამაყოს მშობლიურმა გვარმა, სამეგრელომ და სრულიად საქართველომ“ (**გრამიტონ კვარაცხელია**, აკადემიკოსი, სტატიიდან „ძვირფასი შენაძენი“, გაზ. „რაეო“, 12, 2008 წ.).

„თქვენნაირი მეცნიერები რომ ჩვენს მეზობელ არმენებს ჰყავდეთ, ახლა მსოფლიო ექნებოდათ შეზანზარებული. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ თქვენ შეაზანზარეთ ისინი და მთელ მსოფლიოს გადაანვინეთ ხმა კოლხეთის უძველესი ცივილიზაციისა და ენობრივი სიმდიდრის შესახებ“ (**სოსო ხონელიძე**, გაზ. „ილორი“, 116, 10-17 მაისი, 2011 წ.).

„ადვილი წარმოსადგენია, რამდენად სრულყოფილი ისტორია ექნებოდა ქართველებს, რომ დიდ ივანეს ჰქონებოდა ის ინფორმაციები, რაც უკანასკნელი გამოკვლევებით იქნა მოპოვებული მამანტი და ცირა ძაძამიების მიერ „მეგრული ენის ლექსიკაზე და სიტყვათწარმომავლობაზე“ (**ხეთისო უთუთაური**, გაზ. „ილორი“, 128, 19-26 ივლისი, 2011 წ.).

„...ეროვნული კატასტროფის პირობებში ჩვენს ცნობიერებაში შემოიჭრნენ: უდიდესი მასშტაბის ენათმეცნიერები, მამანტი და ცირა ძაძამიები თავიანთი საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომებით“ (**მოსუცი ფხოველი** (იოსებ პატარაშვილი), გაზ. „ილორი“, 116, 2011 წ.).

კახეულმესიტყვითა მიძღვნილი:

თავისებურად ეხმიანებიან და აფასებენ მამანტი და ცირა ძაძამიების ღვაწლსა და ნაშრომებს პოეტები. აი, მათი ერთი ნაწილიც:

მამანტი ძაძამიას (სონეტი)

„შენ დაგანახვა შენში ღმერთი თითქოს განგებამ, რომ შორეული და გრძელეული განძი გეპოვა; ურწმუნობას ღვთაებრივი შენში ანგრევადა, — სიბნელისათვის შარაგზა რომ გადაელობა.“

შენში უთვლელი ძველკოლხური სიტყვა ნეტარებს, ვით ელვარება უძველესი ოქროს სანმისის; ჩვენი წარსული შენში ხედავს ნამდვილ მეზარეს, უბე კოლხეთის — ქართველურის ფუძე-საწყისი...“

წარსულმა შენში ოდინდელი იგრძნო სილაღე, მახლობელივით სასოებით თითქოს გემთხვია; დღემდე მოჯარულს შენ მუსრს ავლებ ყველა სიყალბეს, კოლხურ ნათებას ბურუსივით რომ ახვევია...“

კოლხეთი ღრუბელს გადაიყრის ძველს და აწინდელს, რომ საქართველო უფლის ნებით ისევ გაბრწყინდეს!

რინოს კვარაცხელია — ჟურნალისტი, პოეტი, ჟურნ. „აია“, №1, 1998 წ.

ალსდექ ლაზარეძე (ვუძღვნი მამანტი ძაძამიას)

სულ სხვა შუქი ადგას სიტყვებს შენით ნაგრძნობ, დანაკვირვებს

და წარსულის მრუმე ნისლში იმ ძველისძველ ეძებ კვირბებს.

მშობელ ენის ცისფერ ზღვაში მიიწვევი როგორც არგო; ცდილობ, ერთი სიტყვაც მასში არ დარჩეს, არ მიიკარგოს.

მარგალიტის მადიებლის მძლე ფილტვებით და მგლის მუხლით, — ჩვენის ენის ცერად მზირალს შენ არავის ქედს არ უხრი.

წარმართული სიტყვის ძირებს სინჯავ გზნებით ორაკულის, — ყნოსავ ისე, ვით ენგურის ზვირთს კოლხიდის ორაგული.

ზურაბ ცხონდია — ჟურნალისტი, პოეტი. ლექსების კრებულიდან: „მშვიდობა ჩვენდა“. ზუგდიდი, 1998 წ.

ლექსიდან „წარწერა ნიგნზე“ (მამანტი ძაძამიას)

შენ მოხველ რაღაც საოცარ ბიჯით, ენევი ჩუმად უმძიმეს ჯაფას; გამოგყვა მადლი ზენარულ ნიჭის, მორევზე მარტომ გასაღე აფრა.

კოლხური განძის ჩასწვდი ლაბირინთს, და აცისკროვნე ბნელი შრეები, განგებას ვთხოვე, ძმაო, ამ დილით, — უმრავლოს მამულს შვილი შენებრი.

სიტყვის ფენომენს ჩხრეკ, ფხას უსინჯავ, ესათუთები, თან აცმევ ბექთარს; შენს გატაცებას არა აქვს მიჯნა, იცოცხლებ, ჯანი გიმატოს ღმერთმა.

შეჭიდებიხარ დევს ცხრათავიანს საშვილიშვილო საქმის მოთავედ; საქველო საქმით რომ ხარ მართალი, შეფიქრიანდა გულღრძო მოდავე.

შეჭიდებიხარ და მერე როგორ, ზღაპრული მოგვის ჯადო უნარით, — დაცალო, — ფსკერზე დანალექ ოქროს ამოურწყველი რეზერვუარი!

ხარ უშურველად განძის გამცემი, ჩემო მამანტი, გკოცნი, გეხვევი; შენს წიგნს ხატვივით ველაციცები, მგონია, მხრებით ზეცას ვეხები!..“

მელენტი ფიფია, 10 ნოემბერი, 1998 წ.

ექსპრომტი „მამანტი ძაძამიას“ (ნიგნის პრეზენტაციაზე)

თქვენს დიდებულ ნაშრომებში კოლხი კაცის სული მოჩანს, ღვთიურ ნიჭს და წმინდა კალამს დიდი გულით დაგილოცავთ.

ბევრი რამე კაცურად თქვით, ბევრი უთქმელიც კი დაგჩნათ, სურნელოვან ყვავილებით აგვსებიათ სულის ბაღია.

მტერმა თავი შეგახსენათ, მაგრამ ამით ნუ შეკრთებით; ზენამ უთქვე ავაფრინათ, რომც შეგაჭრან აწი ფრთები...“

ღვთიურ კალამს დაგილოცავთ, უწმინდესო მზის ნათელი; კოლხი გენის ყვილია... „გოლუაფირო, თქვენ სანთელი“!

მიმოზა ცანავა — ფილოლოგი, პოეტი, 10/X-98).

ეს წიგნი: — ჩემში

მამანტი, ცირა, — მამა და შვილი.

ენა და სიტყვა, ფუძე და ძირი —

პროტოქართული თუ პრექართული, — იაფეტური და პირველქმნილი.

დედა-ენა და მამა-ფესვები — დაეინყებულნი, უჩინოდ ქმნილი.

წარსული, აწმყო და მომავალი სათუთად, ჩუმად შემოიხახული.

გადალახული რუბიკონი და ცხრაკლიტულიდან დღეს გამოხსნილი

ბუნების ენა — ენა ღვთიური, — გაცხადებული, გაბრწყინებული...“

მეგრული ენა — მეგრული ტკბილი: „ნანაში სქუა...“, „გოლუაფირო...“.

ირაკლი ხაჭაპურიძე, — იურისტი, წარწერა ნიგნზე „სიტყვათწარმომავლობა — ენის წარმოშობის საფუძველი“, 19/IV-06 წ.).

3

**ნანაში ნინაში
დუღმენცარი
(მამანტი ძაძამიაში
მაფერაფალი ლერსი)**

ტყურაშე რაგად ვამემაძირე,
ორაგადეს მანგასე ფთქუა, —
ოგორაფალცე ვოგორა დო
მაფერაფალცე მუფერუა.
ნანაში ნინაში დუღმენცარი
ირკოცე ქოუჩქე, მამანტი რე,
ლორონთიერე საქმეს ჯლონცე,
მუთე მართალინი, მართალი რე.
ქიანაში მაშხვა ოლაღ მუღულე
ნუნელი ორქოცალო მონკა,
თე დიდი არხასე მირ ხანცე
ბორჯიში გებიჯგდე როკა...
თიშე სიდიდა, თიშე სისქვამე
სერემცე აფუდე ფორილი, —
კოლხური ნინა ბჟა დო თუთა
ყოფედე აკონყორილი...
კოლხური ზიტყვა უკოროცხე
ზღვაში ქვიშა დო მურიცხეცალო, —
ქიანასე ქაძირე ჩქინი ნინა
გოპეულერი ვარდიცალო.
მითინცე მუშენი უკვენდასე
მართალი რაგადი თეცალი, —
ამდლარი საქორთუოს ვაყუნცე
თიში მადიდა მენცარი.
მაღანყარცალო ვესვანჯე დო
თიში ნასაქვარ ურნუში რე.
არზი დო ხე უღუ მარდიანი,
ჟინი ლორონთიში ჭყოლოფა, —
ვერნეში წიგნო გინართინუ
ნანაში ნინაში ცოროფა...
მარგალური ნინა ცოფე
ადამშობაში გენარჩქინა,
ჩქე ჩქენი ნინა მიჩქუდეცე, —
ყოფე ლორონთიში ნინა,
ყოფე მაფშალიაში ნინა,
ყოფე აიეტიში ნინა...
ურჩქინჯელო მუთუნი ვერგე,
ირფელცე ოკო მუშუში რჩქინა,
მიქეთი თენა მორჩქინესენი, —
ლორონთი, ქაცალი დიდხანცე რინა!
პატენი მამანტი გურითე რხვამანქე,
რხვამანქე კუჩხიში გერინელო,
ლორონცე დურინუაფუდა
ანთასე ნანასე ბედინელო!
სანმოხონო დიდ საქმესე
კინე ანოყუნთ ხემანჯღვერო,
ძალა მერჩასე გორჩქინუქუ
თქვანე ქიანაში სარგებელო!

რინოს კვარაცხელია
29 მაისი, 2009 წელი

**(დიდ მენცარიში მამანტი
ძაძამიაში წიგნიში
გაჩინებაფაქე მოჭარაფუ
ათე ლერსი)**

მი, მი რე დო, მი მიში რე
დო მი მისე გე
მინცე უჩქუ დო, მინცე ვაუჩქუ,
მინცე ირფელი შე,
მინიშე ჩხოუ მაჭვალი რე,
მინცე ვაულუ ტე,
მინიშე ცუდეს მუთუნი ვარე
ნამთინესე ძე,
ცვერე ტყვია აბრაგოში
სოდგა-სოდგა ლე,
ტყარი ლეჯიში ოჭკუმალო, —
უსხუნ ჭყონიშე კე,
ჯალონენცე სისქვამეშე
შხვას ვეკნასქედე ცე,
ჯგირე მენცელქე მუშა სტუმარცე
ჯგირე დო სქვამი ჩე.
ულირე ნანას ჯგირე ვორდი,
გლახათე ვორექე წე.

ეკა ზარანდია

**მი მებრელი ვარ!
(სალალობო)**

**ვუძღვნი ბატონ მამანტი
ძაძამიას —
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემია „აია“-ს პრეზიდენტს**

თქვენ არ გასმენიათ?!
მე ყოველთვის და ყველგან მესმის:
ემპატიო მეგრული ფრიად..

მე მეგრელი ვარ!
მესმის: — უხეში არის კახელი,
სიტყვაგვიანობს მძიმე რაჭველი,
გაუთლელია ზანტი ქართლელი,
ენაკვიმატი არის გურული,
იმერელი კი თავბრუს გახვევს
ცრუ თავაზითა.
სვანნი? აპა-პა, საშიშნი

და პირქუშებია!
და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...
და ერთმანეთში გულმოდგინედ
გაკვირვებია!

მე მეგრელი ვარ!
„ეშმაკობით“ შევატყვე ყველას:
მეგრულს და კახელს,
რაჭველს და ქართლელს,
გურულს, იმერელს, სვანს,
გამოგონილი ტყუილია,

რაც ხმები დადის
და ესე ერთი შეხედვითაც ჩანს...

მე მეგრელი ვარ!
ამიტომაც შევატყვე ყველას,
ერთად, ცალ-ცალკეც, უფლის ნებით
რომ ვართ ქართველი,

ერთურთისაგან ყველა დროში
გვჭირდება შეველა,
— მხნე ერთგულება, მარადისი

ჩვენი მთა-ველის!
და თუ სიმართლე მოგესურვოთ

უფრო ფრთიანი,
ამ სინამდვილის ჩემგან არის

თქმა უპირანი:

მე მეგრელი ვარ, მზის შვილ

კოლხთა შთამომავალი,
წარსულის მსგავსად, სასახელო,

მწამს მომავალი!
მით უფრო, როცა უმდიდრესი

ენის მშობელი,
ასეულობით მილიონი სიტყვის

მფლობელი,
ვემნი ერებს შორის გასაოცარ

მწყობრ რეალობას —
ღვთიოკურთხეული ხატოვნებით

რომ მენყალობა!

თამაზ ფიფია
29. V. 2013 წელი
მეგრული ენის დღე ზუგდიდში

ჰანგებად მოსვლა

**წარწერა ცირა ძაძამიას წიგნზე —
„მარადი ფიქრი“**

ცირასეული ნაზობს ლექსი
ვით თოვლის ფიფქი, —
სევედას ეძღვნება მარადიულს
„მარადი ფიქრი“.

ოცნებას უდრის მისეული
ძილიც, ღვიძილიც, —
სიტყვასთან ჭიდილს ენაცვლება
ფიქრთან ჭიდილი...

„მარადი ფიქრი“ ეს ლოცვაა,
გულწრფელი ლოცვა, —
ოდებადემი უნატიფეს
ჰანგებად მოსვლა...

ცა მოსარკული ილანდება
ამ დღეის იქით, —
ტრფიალს ეძღვნება სიცოცხლისას
„მარადი ფიქრი“.

რინოს კვარაცხელია
10/II. 2004 წ.

**ღმერთმა გვიმრავლოს
შენებრ სათნონი...**

**(ვუძღვნი ცირა მამანტის ასულ
ძაძამიას)**

სურათითაც იკითხება შინაგანი
სამყარო,
გადაშლილი სული გაცემს როგორი
და რა ხარო.

სევდით გავცქერი აღმზრდელის
როლში
წელს ორმოცდახუთს მარგვლაში
გასულს,
ამ ხნის მანძილზე, ვფიცავ განგებას,
არ შევხვედრებ ვარ შენაირ ასულს.

კდემით მოსილი შენი ნათება
და სათნო სახე სულს სითბოს ათოვს,
კოლხურ თვალეში მოგიჩანს ხვითო,
კრძალვა-რიდობით ასე რომ გამკობს.

წარსულისაკენ მახედებ უფრო,
გარიდებხარ ზეთამამ ანწყოს,
ასე საოცრად კდემამოსილი
მაგონებ წარსულს —
ზნეობით ნამყოფს.

გინდ ვარცხნილობაც დედისეული
თვალწინ რომ მიდგას, მუდამ
რომ მახსოვს,
რალაც მისებურს ვპოულობ შენში,
რომ მახარებს და სევედასაც მაქსოვს.

გასაოცარი გამოსავს სინაზე,
სევედანარევი მზერა რომ ამკობს,
მაგ ლამაზ თვალთა შუქი ღვთიური
ამ სურათიდან სიკეთით მათობს.

ეს გარეგნული იერი შენი
როგორ შერწყმია სულს
თეთრად ნაქსოვს,
შენებრ ფაქიზი — შენი ლექსები
გულს ჩანვდომია და ძლიერ მანყოფს.

ვფიცავ განგებას, ასე ღვთიური
თანამდროვე ცოტა თუ მახსოვს,
რა ვქნა, პორტრეტმა ეს მიკარნახა
და ნურვინ მიწყენს თუ ასე ვამბობ.

ღმერთმა გვიმრავლოს შენაირები,
შენაირები ღმერთმა გვიმრავლოს.
ამინ!

**სიყვარულითა და პატივისცემით
მარგო ფონიავა
(ბიოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი)
17/1. 2005 წ.**

**მეფარეზოდნენ როცა
მებრულად,
მეფარეზოდნენ თურმე,
ქართულად**

**ვუძღვნი მამანტი და ცირა
ძაძამიებს და
ვლადიმერ ვახანიას**

მელაციცება ის ენა ახლაც,
თითქოს ძველ სკივრში გადაამალული,
არ უნდა თქმა, რომ ერთიანია,
მაგრამ ინყება სადღაც მამული...

ახლაც ვიგონებ გაფრენილ ყრმობას,
იმ ჩემს აკვანს და ოქროს საბუდარს,
მეფერებოდნენ როცა მეგრულად,
მეფერებოდნენ თურმე ქართულად!

გამომაცილა დედამ ჭიშკრამდე,
თუმცა, ტკივილი არ მაგრძნობინა,
შემომბრუნა მარჯვნივ სამჯერ და
მითხრა: ონჯლორე დღას ვამოძირა!

ნუ შეაშინებს ეს აზრი ნურვის,
ჭეშმარიტებას ნურავის აკრთობს, —
თე ჟირი ნინა ართი ნინა რე,
ეს ორი ენა ერთმანეთს ამკობს.

სათაკილოდ და საწყენად ვინმეს
არა მგონია, ეს თუ დარჩება, —
მთვარიან ღამეს სხვაგანაც ნახავ,
მაგრამ ვერ ნახავ სხვა თუთარჩელას.

ქართულ სივრცეებს თუ კი გახედავ,
ზღვას — იაგუნდს და ზეცას
— საფირონს,
— შემოგველეო, ყველგან გეტყვიან,
მაგრამ სხვა არის — გოლუაფირო!

ვალერი კვარაცხელია —
ჟურნალისტი

**ახალი, მართლაც
სენსაციური ფაქტები**

2012 წლის 26 აგვისტოს მამანტი
ძაძამიამ, ცირა ძაძამიამ, ირინე ძაძა-
მიამ, ია ძაძამიამ, ელეონორა მეზონია-
ძაძამიამ და ირაკლი ხაჭაპურიძემ და-
ამთავრეს შექმნა და კომპიუტერული
უზრუნველყოფა ოცტომეულისა „მეგ-
რული ენა — ენის წარმოშობისა და

**განვითარების ისტორიის ცოცხალი
მატიანე“.**

ოცტომეულის II—XVIII ტომებში მო-
ცემულია მეგრული ენის მთელი ლექსი-
კა ორი სახით. კერძოდ, II—XVII ტომებში
წარმოდგენილია ზმნური ფონდი (ზმნე-
ბი და სახელზმნები) მეგრულის ზმნურ
ფუძეთა ლექსიკონის სახით. მასში
მოხმობილია ზმნები და სახელზმნები,
რაც მოიცავს 1 მილიარდ 410 მილიონ
119 ათას 286 სიტყვას პარალელური,
იშვითად ხმარებადი და პოტენციურად
შესაძლებელი ფორმებითურთ. ამ ლექ-
სიკონის ყოველ ერთ გვერდზე სამუ-
ალოდ იკითხება 160000-მდე სიტყვა.
დანარჩენი ლექსიკა წარმოდგენილია
სახელებისა და სხვა მეტყველების ნა-
წილების ლექსიკა მეგრულ-ქართულის
ჩვეულებრივი ლექსიკონის სახით და
იგი ითვლის 26000-მდე სიტყვას.

ამრიგად, ოცტომეულში წარმოდგე-
ნილი მეგრული ენის ლექსიკა სულ მოი-
ცავს (ითვლის) 1 მილიარდ 410 მილიონ
145 ათას 286 სიტყვას (შვიდტომეულში
მოხმობილი იყო 103 მილიონამდე სიტყ-
ვა). აქედან, ავტორების ვარაუდით, თა-
ნამედროვე მეგრულში მეტ-ნაკლები
სიხშირით ხმარებადია ან შეიძლება
ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა
მეტი) სიტყვა.

500 მილიონი სიტყვის მომცველი
მეგრული ენის ლექსიკონი კი, დაახლო-
ებით 25000 ტომს მოიცავს. მის შედ-
გენას (კომპიუტერული ლექსიკონის
სახით), იმ შემთხვევაში, თუ ყოველდ-
ღიურად შედგენილი იქნებოდა თითო
ტომი (რაც, ცხადია, ფანტასტიკური
ჩანს), ავტორებისავე გაანგარიშებით,
დასჭირდებოდა დაახლოებით 74 წელი,
წელიწადში საშუალოდ 340 დღის მუშა-
ობის პირობებში.

ეს, რასაკვირველია, ჩვენს სასიქა-
დულო ავტორებს არ აწყობდათ. ამი-
ტომაც გადაწყვიტეს, მოეძიათ მეგრუ-
ლის ლექსიკის მრავალათასტომეულის
რაც შეიძლება ექსტრენული წესით
შედგენის ხერხი. დაჟინებულმა მუშაო-
ბამ მათთვისაც მოულოდნელი შედეგი
გამოიღო. მათ მოიძიეს ხერხი, რომლის
მიხედვითაც ყოველ 5 წუთში შეუძლი-
ათ ტომი ახალ-ახალი ლექსიკონის
(ოლონდ ქართულად თარგმანის გარე-
შე) შედგენა. ამჟამად ამ გასაოცარი ნი-
ჭის ადამიანებს ხელთა აქვთ მეგრული
ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავ-
ალათასტომეულის პირველი ათასი
ტომი. მაგრამ შემდგომი ტომების შექმ-
ნა დროებით შეწყვეტილი აქვთ. იძიებენ
ხერხს, რომლის მიხედვითაც ამგვარი
ექსტრენული წესითვე შესაძლებელი
იქნება მეგრულ-ქართული (ორენოვანი)
კომპიუტერული ლექსიკონის შედგენა.
იმედია, ისინი მალე ამ პრობლემასაც
გადაწყვეტენ.

დაბოლოს, კიდევ ერთ სასიამოვნო
ფაქტზე: მეგრული ენის ლექსიკონის
მრავალათასტომეულის შედგენაზე
მუშაობაში მონდომებით ჩაერთვნენ
ბატონი მამანტის მცირეწლოვანი შვი-
ლიშვილებიც: მარიამი, ლუკა და ქრის-
ტინე ხაჭაპურიძეები. ასე, რომ, ესტა-
ფეტა მომავალ თაობას გადაეცემა და
ეს განსაკუთრებით უხარებს გულს მა-
მანტი ბაბუას.

როგორც კი დამთავრდა ზემოთ და-
სახელებული ოცტომეულის შედგენა,
ირინა, ია და ბესარიონ ძაძამიები, ელე-
ონორა მეზონია-ძაძამია და ირაკლი
ხაჭაპურიძე, ვიცე-პრეზიდენტის კლი-
მენტი შელიას წინადადებით არჩეუ-
ლიქნენ საქართველოს მეცნიერებათა
აკადემია „აია“-ს სამდვილ წევრებად,
აკადემიკოსებად.

და, იღვწის მუხლჩაუხრელად მამან-
ტი ძაძამიას ოჯახი — აკადემიკოსების
დიდი ოჯახი, მეგრული ენის სიღაღისა
და საერთოდ ენის ფენომენის საოცრე-
ბათა სრულად წარმოჩენისათვის. სახე-
ლი და დიდება მათ!

შეადგინა ვალერი ძაძამიამ

რედაქტორი ვალერი ძაძამია